ვემსახურები საქართველოს!

შინაგან საქმეთა
სამინისტრო

2020 წელი ნამდვილად იყო მოულოდნელი და რთული გამოწვევების წელი.

მსოფლიო ახალი Covid-19-ის პანდემიის წინაშე სულ სხვა რეალობაში აღმოჩნდა. ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი. პანდემიამ მთლიანად შეცვალა საქართველოს მთავრობის დღის წესრიგი, შესაბამისად, ჩვენიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდი გუნდი, ყველა დეპარტამენტის შემადგენლობით, მთელი წლის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მთავრობასთან კოორდინირებულად, 24-საათიან რეჟიმში ასრულებდა საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად პანდემიისა, ჩვენ ერთი წუთით არ შევფერხებულვართ კრიმინალთან უკომპრომისო ბრძოლაში, რაც კონკრეტულ რიცხვებში აისახა კიდეც. წარმოდგენილ ანგარიშში გაეცნობით 2020 წელს განხორციელებულ აქტივობებს და სამინისტროს სამომავლო პრიორიტეტებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი

ვახტანგ გომელაური

2020 წლის პრიორიტეტები

- კრიმინალური პოლიციის რეფორმა
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა
- Covid-19-ის მიერ გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა
- ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაუმჯობესება
- სერვისების განვითარება
- საგზაო უსაფრთხოება
- საზღვრის მართვა და მიგრაცია
- საგანგებო სიტუაციების მართვა
- საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარება
- სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად პოლიციის ეფექტიანობის გაზრდა
- უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა
- მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები
- ინფრასტრუქტურის განვითარება
- სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოებასთან ურთიერთობა

POLICE

კრიმინალური პოლიციის რეფორმა

კრიმინალური პოლიციის რეფორმა საპოლიციო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. რეფორმის შედეგად, გამომძიებელთა გაცილებით უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე შემადგენლობას მივიღებთ, ხოლო ოპერატიული კომპონენტი საქმიანობის ცალკე მიმართულებად განისაზღვრება. მიმდინარეობს ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების გამიჯვნის პროცესი. თბილისის შემდგომ, ფუნქციების გამიჯვნა შეეხო ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტებს, რაც საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება.

საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის ფარგლებში, მომზადებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი და, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

შინაგან საქმეთა სამინისტროში გრძელდება მუშაობა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიმართულებით. ეტაპობრივად ინერგება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის მთავარი მიზანია პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერება. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია და 2020-2021 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

პროექტი ამჟამად მოიცავს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისის და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარ სამმართველოებს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულია 263 მართლწესრიგის ოფიცერი. პოლიციასა და მოსახლეობას შორის ნდობის გამყარების მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. ამ მიმართულებით გრძელდება თანამშრომლობა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის მარტის ჩათვლით, სკოლის მოსწავლეებთან 11 შეხვედრა ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან ერთად, მართლწესრიგის ოფიცრები ასევე აქტიურად ჩაერთნენ პანდემიით გამოწვეული სიტუაციის მართვისა და დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების პროცესში.

მომავალში მართლწესრიგის ოფიცრები თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოებსაც დაემატებიან, შემდეგ კი, ეტაპობრივად, მთელ საქართველოს მოიცავენ

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს

- სამინისტროში ამოქმედდა არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელიც, ქალაქ თბილისის მასშტაბით, არასრულწლოვნების მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ახდენს რეაგირებას;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნაზე მუშაობას. ამ დროისთვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში, UNICEF-ის კონცეფციისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ბავშვზე მორგებული გარემო შექმნილია თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში.

- სამინისტროს ინიციატივით, 2020 წელს მიღებულ იქნა კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რის შედეგადაც დანაშაულში მსჯავრდებული პირების მიმართ გამკაცრდა კანონი, კერძოდ, შეეზღუდათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საბავშვო ცენტრებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობის, საექიმო საქმიანობის, სოციალურ მუშაკად მუშაობის და სხვა უფლებები. ასევე, სქესობრივი დანაშაულების პრევენციის მიზნით, შეიქმნა მოძალადეთა მონიტორინგის მექანიზმები. ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში და არასრულწლოვნის გაუპატიურებისათვის გამკაცრდა სასჯელი და შესაძლებელი გახდა უვადოდ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნაც;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების დახვეწის მიზნით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა – მოძალადის მიმართ დაწესდა ელექტრონული მონიტორინგი, რაც მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის

გარანტიების გაზრდას უზრუნველყოფს. 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება;
- სამინისტროსთვის, დანაშაულის ეფექტიან გამოძიებასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაზარალებულის და მოწმის მხარდაჭერა. სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2020 წლის მეორე ნახევარში გაფართოვდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური და მოიცვა სამინისტროს ყველა ტერიტორიული დანაყოფი. სამსახურის საქმიანობის მთავარი მიზანია გამომძიებელსა და დაზარალებულს/მოწმეს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშეწყობა და დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის გამკლავებაში დახმარება. 2020 წელს კოორდინატორებმა 1000-მდე მოქალაქეს გაუწიეს დახმარება.
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის აქტიური საქმიანობის

შედეგად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი ღონისძიება ჩატარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ბავშვობის ასაკში ქორწინების, სექსუალური შევიწროების შესახებ. ასევე, ინტენსიურად გაგრძელდა თანამშრომელთა გადამზადების პროცესი, მათ შორის, დისტანციურ რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც ტრენინგი ჩაუტარდა 700-ზე მეტ თანამშრომელს;

- განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განახლდა რისკების შეფასების ინსტრუმენტი და გაიწერა სპეციალური ინსტრუქცია. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის შედეგად, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესთან დაკავშირებით შემუშავდა დისტანციური სწავლების კურსი და ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება;
- ეუთოსა და ევროპის საბჭოს სასწავლო მასალების საფუძველზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენისა და გამოძიების საკითხებზე დაიწყო თანამშრომელთა კასკადური გადამზადების პროცესი, რომლის ფარგლებშიც 150-ზე მეტი თანამშრომელი გადამზადდა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გამომძიებლების მიერ

დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა დანაშაულის გამოძიების ეტაპზე;

- ანტიდისკრიმინაციულ საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დამზადდა ვიდეორგოლი და საინფორმაციო მასალები. სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში – „თანასწორობის კვირეული“;
- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო ქადაგიძემ და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რის შედეგადაც 2021 წლიდან გაუმჯობესდება მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია;
- ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის გაფართოებული მანდატის საფუძველზე, სისტემაში გაჩნდა გამოძიების ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი. განგრძობადი მონიტორინგისა და შედეგების სიღრმისეული ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა გამოძიებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავება რიგ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით;
- საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერების მიზნით, დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, დეპარტამენტის ვებგვერდზე დაიწყო საინფორმაციო სტატიების განთავსება.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

იდენტიფიცირებულია 2021-2024 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები

სამინისტროში გრძელდება აქტიური მუშაობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გაძლიერება, საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად ერთობლივი აქტივობების შემუშავება და უწყებათშორისი შეთანხმება. საბჭოს სამდივნოს ფუნქცია დაკისრებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, რომელიც, ამასთანავე, ხელმძღვანელობს საბჭოს ფარგლებშივე შექმნილ ორ თემატურ სამუშაო ჯგუფს და ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების წესის შესაბამისად, სამდივნოს კოორდინაციით, 2021-2024 წლების ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები შემუშავდა. უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და უსაფრთხოების საბჭოს შესაბამისი კომისიის მიერ დოკუმენტების პროექტების დადასტურების შემდეგ, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ძალისხმევის გაძლიერება, ისევე, როგორც შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით საქართველოს მიერ შესასრულებელი ერთ-ერთი ვალდებულებაა.

112
7115
OCTAVIA
GE 00-213-RO
POLICE

2020 წლის დანაშაულის სტატისტიკა

სამართალდამცველთა ძალისხმევის შედეგად, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს რეგისტრირებული დანაშაული შემცირდა 11.74 %-ით

-11.74%

შემცირებულია ისეთი კატეგორიის რეგისტრირებული დანაშაულები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებაზე.



ყაჩაღობა	-28.37%
გამოძალვა	-30.09%
ძარცვა	-28.23%
ქურდობა	-10.96%
ბინების გაქურდვა	-30.03%
მკვლელობის მცდელობა	-6.67%

რეგისტრირებულ დანაშაულზე ინფორმაცია საზოგადოებას ყოველთვიურად მიეწოდება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კიბერდანაშაული, რაც გლობალური გამოწვევაა და ინტერნეტ რესურსების გაზრდილი გამოყენებით არის განპირობებული. ასევე, მომატებულია ოჯახში ძალადობის ფაქტებიც, რაც პოლიციისადმი მიმართვიანობის მატებით არის განპირობებული.

კიბერდანაშაული	+18.66%
ოჯახში ძალადობა	+6.92%
მკვლელობა	+11.68%

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია

5

კანონიერი ქურდი

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

49

პირი

ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებულია

71

პირი

საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილია ნარკოდამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი და ამოღებულია

40კგ

„ჰეროინი“

პასუხისგებაში მიცემულია ნარკოტიკებით ონლაინვაჭრობაში ჩართული

16

პირი

დაიხურა

13

ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია

გამოვლენილია

1

ფსიქოაქტიური ნივთიერების დამამზადებელი ნარკოლაბორატორია

უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია

89 კგ	„ჰეროინი“	**7 000 აბი**	„სუბუტექსი“/“სუბოქსინი“
1 კგ	„კოკაინი“	**6,5 კგ**	ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები

ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულია

6

პირი

დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

152

კიბერდამნაშავე

ტრეფიკინგი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღკვეთისათვის აუცილებელ საერთაშორისო სტანდარტებს და 2020 წელს კვლავ პირველ კალათშია.

ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით, სამინისტროში შექმნილია მობილური ჯგუფები. 2020 წელს მათ მიერ შემოწმდა 70 რისკის შემცველი ობიექტი, გამოკითხულია 239 პირი, ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულია 6 პირი.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, საქართველო კვლავ პირველ კალათშია

კიბერდანაშაული

21-ე საუკუნეში, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იზრდება კიბერსაფრთხეები და მასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები, ვითარდება დანაშაულის მეთოდები და ფორმები, რაც კიბერდანაშაულის ზრდას იწვევს.

ჩვეულებრივი დანაშაულისგან განსხვავებით, კიბერდანაშაულს გლობალური ხასიათი აქვს და შესაბამისად, ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს წინაშე დგას, გამოწვევის სახით. სწორედ ამ მიმართულებით საქმიანობის გასაძლიერებლად, შინაგან საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს.

2020 წელს პოლიციამ დააკავა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 152 კიბერდამნაშავე.



EUROPOL

უპრეცედენტო საერთაშორისო საპოლიცო ოპერაცია

ევროპოლსა და ინტერპოლთან თანამშრომლობით, ქართველმა პოლიციელებმა უპრეცედენტო საერთაშორისო საპოლიციო ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა. მასში ჩართული იყო 16 ქვეყნის სამართალდამცავი უწყება, დაკავებულია კრიმინალური ქსელის 20 წევრი, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებიც, რომლებიც, მსოფლიოს წამყვანი კიბერდამნაშავეების დავალებით, ათობით მილიონ ევროს ათეთრებდნენ. ამ ოპერაციას წინ უძღოდა კომპლექსური გამოძიება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ჩვენი მხრიდან ამ ოპერაციაში ჩართული იყო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

საპატრულო პოლიცია

- 2020 წელს განახლდა საპატრულო პოლიციის ავტოპარკი. ძველი ავტოსატრანსპორტო საშუალებები ჩანაცვლდა „შკოდას“ მარკის 100 ახალი მანქანით;
- შეიცვალა პატრულ-ინსპექტორების ზამთრის სამუშაო ფორმა. თანამედროვე დიზაინის თბილი ქურთუკები და ზამთრის ფეხსაცმელები სპეციალურად საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის არის შექმნილი და ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს. უნიფორმა შეკერილია საქართველოში, მაღალხარისხიანი და გამძლე მასალისგან. ზამთრის ახალი უნიფორმები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საპატრულო პოლიციის 4000 თანამშრომელს დაურიგდა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, პირველადი ინსპექტირების უახლესი ხელსაწყოებით აღიჭურვა;
- 2020 წელს გაიხსნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ერთიანი მომსახურების ცენტრი;
- 2020 წელს ერთიანი მომსახურების ცენტრმა, UNDP-ის ფინანსური მხარდაჭერით, სერვისის გაუმჯობესების მიზნით:
  - დაიწყო თვითშეფასების სისტემის დანერგვა (CAF);

- განახორციელა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები: ეფექტიან კომუნიკაციაში, სერვის პლუსში, მენეჯმენტის საფუძვლებში, ხარისხის მართვაში, კონფლიქტებისა და ემოციის მართვაში;
- ერთიანი მომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის;
- 2020 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლებმა შეისწავლეს ჟესტური ენა და მოხდა ცენტრის სერვისების ადაპტირება ყრუ და სმენადაქვეითებულთათვის;

- საგზაო უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში, სკოლებში ჩატარდა საგზაო უსაფრთხოების თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილები. პროექტი განხორციელდა თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ქალაქების სკოლებში;
- საპატრულო პოლიციის მთლიანი შემადგენლობა აქტიურად იყო ჩართული Covid-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პატრულ-ინსპექტორები, დაკისრებული უფლება-მოვალეობების პარალელურად, 24-საათიან რეჟიმში აღასრულებდნენ საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. კოვიდპანდემიის პერიოდში, ერთიანი მომსახურების ცენტრის თანამშრომლები მოქალაქეებს უწყვეტ რეჟიმში, დისტანციურად ემსახურებოდნენ.

POLICE

112
8106

00-213-RO
7115
7115

112
112

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაქსიმალური კოორდინაციისა და ინციდენტებზე ოპერატიული რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, სსიპ 112 და ერთობლივი ოპერაციების ცენტრი გაერთიანდა და შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112.

აღნიშნული სსიპ-ი ახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვისათვის შესაბამის სატელეფონო მომსახურებას, აგრეთვე, 24-საათიან უწყვეტ ვიდეომეთვალყურეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით სამართალდარღვევის ფაქტების დაფიქსირების ადმინისტრირებისა და საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება;
- საგზაო უსაფრთხოების ეფექტიანი მართვა;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა;
- კრიზისული სიტუაციების ეფექტიანი პრევენცია/მართვა;
- მონაცემთა ეფექტიანი დამუშავება/ანალიზი;
- კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლი.

საგზაო უსაფრთხოება

საგზაო მოძრაობის ორგანიზების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეგულირების მიზნით, ადმინისტრირებისა და აღსრულების ეფექტიანობის გაზრდისათვის შემუშავდა დამატებით ღონისძიებათა კომპლექსი („ჭკვიანი კამერები“, უკონტაქტო პატრულირება, ვიდეოამომცნობი ეკიპაჟები, ალკოტესტებით აღჭურვილი ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდა და ა.შ.).

სულ, საქართველოს მასშტაბით 2020 წლის ბოლოს დამონტაჟებული იყო 4786 ვიდეოკამერა, მათ შორის - 1751 ნომრის ამომცნობი და 3035 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა. საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 270 სექცია, რის საფუძველზეც, 2020 წლის ბოლოს ჯამურად კონტროლდებოდა 1152 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

2020 წელს, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა 319 ვიდეოკამერა, რომელთაგან 173 არის ზოგადი ხედვის, ხოლო 146 - ნომრის ამომცნობი, ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა 54 სექციური რადარი, რომლებიც ფარავს 291 კმ-ს.

ამერიკული პროგრამა ProQA

112-ში დაინერგა ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა ProQA, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლების საფუძველზე ოპერირებს. პროგრამა მაქსიმალურად ამცირებს საქმის პრიორიტეტის განსაზღვრისა და რეაგირებისას ადამიანური შეცდომების რისკს. გარდა ამისა, განსაკუთრებულად რთული შემთხვევებისთვის პროგრამა ავტომატურად ქმნის პირველადი დახმარების ინსტრუქციებს, რაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ადგილზე მისვლამდე პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნების მნიშვნელოვანი გარანტიაა.

სისტემა 50-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი. იგი შედგება სამი პროტოკოლისგან: საპოლიციო, სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო.

სისტემა გამართულად მუშაობს სახანძრო-სამაშველო პროტოკოლით.

მიმდინარეობს მუშაობა საპოლიციო და სასწრაფო სამედიცინო პროტოკოლების დანერგვაზეც.

ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში შეიქმნა ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, რომლის კომპეტენციის ფარგლებშიც დაიწყო „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება.

2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამა, რომლის მონიტორინგსაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112.

სასწავლო ცენტრი

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის სასწავლო ცენტრი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ცენტრი მომიჯნავე სამსახურებსა და სხვა ორგანიზაციებსაც უწევს მომსახურებას.

2020 წელს, სასწავლო ცენტრის ტრენერების მიერ, სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ეფექტიანი კომუნიკაციის, ასევე, პროგრამულ ნაწილში გადამზადდა 459 თანამშრომელი.

ასევე, გადამზადდა მომიჯნავე სამსახურებისა და სხვა ორგანიზაციების 1456 თანამშრომელი, მათ შორის, 1015 ოჯახის ექიმი - პროგრამულ ნაწილში, ხოლო ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის - 144-ის 339 თანამშრომელი - როგორც პროგრამულ ნაწილში, ასევე, ეფექტიან კომუნიკაციაში.

112-ისა და ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის - 144-ის მუშაობა პანდემიის პირობებში

- 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს შემოსული ზარების რაოდენობა 46%-ით გაიზარდა;
- 2020 წელს 112-ში შესული ზარების რაოდენობა 7 მილიონამდე ავიდა. სულ შემოვიდა 6 935 000 ზარი. აქედან მიზნობრივი იყო 4 507 750 ზარი, ხოლო არამიზნობრივი - 2 427 250 ზარი. რა თქმა უნდა, ზარების ასეთი მკვეთრი მატება განაპირობა პანდემიამ და სწორედ ამიტომ, 112-ში ოპერატორთა რაოდენობა 115 %-ით გაიზარდა. სულ დაემატა 230 ოპერატორი. ამ ეტაპზე, ჯამური რაოდენობა არის 443;
- 2020 წელს, მიზნობრივი ზარების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 74%-ით არის გაზრდილი, არამიზნობრივი ზარების კი - 12%-ით;
- 2020 წელს შემოსული ზარების 65% იყო მიზნობრივი, 35% კი -არამიზნობრივი;
- პანდემიამდე, 112-ის ოპერატორები 24 საათის განმავლობაში 14 000-მდე ზარს პასუხობდნენ. პანდემიის დროს კი დღეში საშუალოდ 19 000-მდე ზარი შემოდიოდა;
- პანდემიასთან დაკავშირებით, 112-მა არსებულ ინფრასტრუქტურაზე მოაწყო და 2020 წლის 30 მარტს ექსპლუატაციაში გაუშვა ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი - 144;
- გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ცხელი ხაზების ინფრასტრუქტურა თბილისის მასშტაბით 3 სხვადასხვა ადგილზე მოეწყო;
- პანდემიასთან დაკავშირებული გადატვირთვის გამო, საჭირო გახდა სასერვერო და ქსელური ინფრასტრუქტურის გაძლიერება. სწორედ ამიტომ, 112-მა შეიძინა და განაახლა სასერვერო და ქსელური ინფრასტრუქტურა.

EMERGENCY
IVECO
35 G 81170

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 2020 წელს ევროპული სტანდარტის, „მაგირუსის“ მარკის 30 ახალი სახანძრო-სამაშველო მანქანითა და ახალი ტექნიკური აღჭურვილობით შეხვდა;
- 2020 წელს, სამსახურმა შეიძინა სახანძრო ავტოკიბე, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებისგან გადმოეცა 10 სამაშველო და 1 სახანძრო ავტოტექნიკა. ამ მანქანების უმეტესობა გადანაწილდა რეგიონებში, 3 გადაეცა ქბრბ დანაყოფს;
- ახალი შენობები აშენდა: ბორჯომში, ჩხოროწყუსა და ანაკლიაში. ანაკლიაში ახალ შენობასთან ერთად გაიხსნა ახალი დანაყოფი, რომელიც გაზრდის რეაგირების ეფექტიანობას და ანაკლიის გარდა, მოემსახურება მიმდებარე სოფლებს. შენობა მულტი ფუნქციურია და სახანძრო-სამაშველო მიმართულებასთან ერთად, იქ ფუნქციონირებს წყალზე სამაშველო სამსახურიც, მყვინთავ-მაშველთა განყოფილების ჩათვლით;
- 2020 წელს, პირველად, ცვლაში მყოფი მეხანძრე-მაშველების კვებით უზრუნველყოფა მოხდა;
- ივნისიდან ყველა მეხანძრე-მაშველის ხელფასი ისევე გაიზარდა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფების თანამშრომლების ანაზღაურება;
- შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ინიციატივით, სექტემბრიდან 100 %-ით გაიზარდა მყვინთავი მაშველების ხელფასი;
- სტიქიებზე რეაგირების პარალელურად, მეხანძრე-მაშველები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კოვიდპანდემიასთან ბრძოლაში. მათ ერთ ღამეში მოაწყვეს 100 ადამიანზე გათვლილი საველე ჰოსპიტალი მარნეულში, ეხმარებოდნენ ექიმებს, ადგილობრივ მოსახლეობას, ზრუნავდნენ კოვიდპაციენტების გადაადგილებაზე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ეხმარებოდნენ ქუჩების დეზინფექციაში;
- პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად, მაშველები განაგრძობდნენ უბედურ შემთხვევებზე ოპერატიულ რეაგირებას, ხანძრებსა და სტიქიებთან ეფექტიან ბრძოლას;

- მასშტაბური იყო რაჭის სტიქია. მეხანძრე-მაშველებმა სტიქიის ზონიდან გამოიყვანეს 706 მოქალაქე, ააგეს დროებითი საბაგირო გზები, რომელთა დახმარებითაც ხდებოდა მოსახლეობისათვის მედიკამენტებისა და პროდუქტის მიწოდება;
- 2020 წელს მეხანძრე-მაშველებმა რამდენიმე ათეული ტყის ხანძარი ჩააქრეს. სირთულით გამოირჩეოდა სვანეთში გაჩენილი ხანძრები. იყო შემთხვევები, როცა კერებთან სახანძრო სპეცტექნიკის მისვლა რთული რელიეფის გამო ვერ ხერხდებოდა და მეხანძრე-მაშველები ხშირ შემთხვევაში, სამთო აღჭურვილობის გამოყენებით, ქვეითად მიდიოდნენ ცეცხლის კერასთან და დღე-ღამის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ;
- 2020 წელს იყო რამდენიმე ბაზრობის ხანძარი, მათ შორის, ლილოში, ე.წ. ელიავას ბაზრობაზე, წერეთელის გამზირზე და ვარკეთილში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა, ვინაიდან არსებობდა ავტოგასამართი სადგურის აფეთქების და ხანძრის საცხოვრებელ კორპუსზე გადასვლის რეალური საფრთხე;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით, მაშველებმა 346 მოქალაქის სიცოცხლე გადაარჩინეს.

GBP-10009

EMERGENCY MANAGEM NT SERVICE - DO NO

BORDER POLICE
GE-038-BP
GEORGIA

სასაზღვრო პოლიცია

2020 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სახელმწიფო საზღვრის დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის, ავიაციის შესაძლებლობების განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით.

2020 წელს, აშშ-ის მთავრობისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

- აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით აშენდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 4 სასაზღვრო სექტორი:
  - დედოფლისწყაროს სამმართველოს სექტორი „ლეკისყურე“ (დასაცავ მონაკვეთზე ასევე მოეწყო ელექტრონული დაკვირვების სისტემა);
  - ბათუმის სამმართველოს სექტორი „ჩირუხი“;
  - ყაზბეგის სამმართველოს სექტორი „ჯუთა“;
  - ყაზბეგის სამმართველო სექტორი „თრუსო“;
- საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სასაზღვრო პოლიციაში განახლდა მესაზღვრის პირადი აღჭურვილობა, სასაზღვრო ინციდენტების გამოვლენისა და

მათზე რეაგირების, ასევე, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები;

- აშშ-ის საელჩოს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით, სახმელეთო საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სასაზღვრო პოლიციას 20 ერთეული ყველგანმავალი „არგო“ გადმოეცა;
- სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკი მაღალი გამავლობის 90 ავტომანქანით და 6 სატვირთო ავტომანქანით გაძლიერდა;
- სრულად განახლდა სანაპირო დაცვის რადიოსაკომუნიკაციო სისტემა;
- თურქული მხარის მხარდაჭერით, კაპიტალურად გარემონტდა სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებები - „სოხუმი“ და „ფოთი“;
- სასაზღვრო ავიაციის მფრინავებმა არაერთი ფრენა განახორციელეს როგორც სასაზღვრო, ასევე, სახანძრო და სამაშველო საგანგებო სიტუაციებისას.

გარდა ამისა, სამოქალაქო ავიარეისებს ასრულებენ მთის მოსახლეობის დასახმარებლად;

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ორმხრივად გაფორმებული ტაქტიკური მემორანდუმის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტი ნატოს ანტიტერორისტული ოპერაცია „ზღვის მცველის“ მხარდამჭერია, ხდება ტაქტიკური და სადაზვერვო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
- 2020 წელს ურთიერთგაგების ახალი მემორანდუმი გაფორმდა სასაზღვრო პოლიციასა და ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობას შორის (MARCOM), რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად გაფართოვდა თანამშრომლობის სფეროები;
- 2020 წელს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე, ნატოს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის საქართველოს

ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლის დიპლომატიური ნებართვების გაცემის წესი გამარტივდა;

- 2020 წლის ოქტომბერში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფებმა ნატოს სერტიფიცირების მეორე დონის შეფასების პირველი საფეხური [SEL-2] გაიარეს. შეფასების პროცესის დასრულება დაგეგმილია 2021 წელს, რის შემდეგაც საქართველოს სანაპირო დაცვას ეყოლება ნატოს საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობისათვის მომზადებული, აღჭურვილი და სერტიფიცირებული სააბორდაჟო დანაყოფები;
- აშშ-ის საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის დაცვის პროგრამის (EXBS) ფინანსური დახმარებით, ამჟამად მიმდინარეობს ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორის მშენებლობა;
- უახლოეს მომავალში დასრულდება თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასაზღვრო სექტორის მშენებლობა დავით გარეჯის ტერიტორიაზე.

მომსახურების სააგენტო

- 2020 წელს მომსახურების სააგენტომ დაიწყო დამატებით ახალი ცნობების გაცემა:
  - უფლების ჩამორთმევის შესახებ;
  - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
  - იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;
- სექტემბრიდან ამოქმედდა სატრანსპორტო საშუალების და იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების გაცემის ახალი წესი;
- ახალი რეგულაციების თანახმად, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაიცემა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მესაკუთრის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის/რწმუნებულების საფუძველზე;

- იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაიცემა იარაღის მესაკუთრის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მესაკუთრის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის/რწმუნებულების საფუძველზე;
- მომსახურების სააგენტოს რეგიონული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს დაემატა მომსახურება - დაკარგული ან დაზიანებული სახელმწიფო სანომრე ნიშნების დამზადება-აღდგენა;
- მომსახურების სააგენტოში სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლის ვადა, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2021 წლის პირველ აპრილამდე გაგრძელდა;
- შემუშავდა იარაღის რეგისტრაციის მოწმობის ახალი დიზაინი.

მაღაზიაში შეძენილი იარაღის დისტანციურად რეგისტრაცია

2020 წლის ოქტომბრიდან მომსახურების სააგენტოში ამოქმედდა იარაღის რეგისტრაციის დისტანციური მომსახურება.

აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც ფლობენ საქართველოს ტერიტორიაზე გაცემულ ბინადრობის მოწმობას.

2020 წლის ოქტომბრიდან, იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობაზე ლიცენზიის მფლობელ პირს (იარაღის მაღაზია) შეუძლია, ავტორიზაცია გაიაროს შსს-ს მომსახურების სააგენტოში, რის შემდეგაც იარაღის შემძენ პირს საშუალება ეძლევა, სააგენტოში მიუსვლელად, ადგილზე, მაღაზიაშივე დაირეგისტრიროს იარაღი.

დისტანციური მომსახურების ფარგლებში, ავტორიზებული პირის მეშვეობით

იარაღის რეგისტრაციისას, მომსახურების სააგენტო დაინტერესებულ პირს საფოსტო მომსახურებასაც სთავაზობს. კერძოდ, სააგენტო იარაღის შემძენს კურიერის მეშვეობით, წინასწარ შეთანხმებულ მისამართზე გაუგზავნის იარაღის რეგისტრაციის მოწმობას, რაც დაზოგავს მომსახურების მიმღების დროს.

- სააგენტო მოქალაქეებს დამატებით მომსახურებას გაუწევს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით;
- 2020 წლის დეკემბრიდან, დაინტერესებულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის მეშვეობით, სააგენტოს მიმართონ შემდეგი მომსახურებების გაწევის თაობაზე:

– ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;
– პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;
– უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;
– მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემა;
– სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
– იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
– საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ცნობის გაცემა;
– პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის

ამოქმედდა სატელეფონო კონსულტაციის სამსახურის ახალი ნომერი 12 72

- გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;
- იურიდიული პირის სისხლისსამართლებ-რივი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა;
- მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მონაცემების ავტორიზებული საწარმოსთვის (ბანკი, სადაზღვევო კომპანიები და სხვ.) გადაცემას;

- სააგენტოს მიერ მინიჭებული ავტორიზებული საწარმოს სტატუსის მქონე პირები საკუთარ კლიენტებს უწყვეტად მიაწვდიან სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით;

- სააგენტო, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ავტოცენტრებში, ავტობაზრობებზე და სალიზინგო კომპანიებში, ადგილზე მომსახურების გაწევის მიზნით, უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების განთავსებას;
- დასრულდა რუსთავის მომსახურების სააგენტოს ცენტრალური სარეგისტრაციო დარბაზის განახლება-რეკონსტრუქცია;
- თბილისში, ქავთარაძის ქუჩის №21-ში გაიხსნა ახალი შენობა, რომელშიც ხორციელდება იარაღის რეგისტრაცია, სანომრე ნიშნების ბეჭდვა/გაცემა;
- ქუთაისში მოეწყო ახალი პრაქტიკული საგამოცდო მოედანი და აშენდა მოსაცდელი შენობა;
- გორში დასრულდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო მოედნის მოწყობა;
- ბათუმში დასრულდა ახალი შენობის მშენებლობა, სადაც მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნიშნების (სახელმწიფო სანომრე ნიშნები და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა) დამზადებასა და გაცემას, ასევე, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის დაბეჭდვასა და გაცემას;
- კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში განთავსდა დამცავი მინის ბარიერები.

POLICE

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლები საოკუპაციო ხაზთან დგანან და იცავენ ქვეყნის უსაფრთხოებას, თუმცა, პანდემიის დროს, მათი ფუნქციებიც გაიზარდა: მთელი ქვეყნის მასშტაბით აკონტროლებდნენ ქალაქებში შესვლა-გასვლას საგუშაგოებზე, ჩაკეტილ მუნიციპალიტეტებში 24 საათის განმავლობაში იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას

- 2020 წელს განხორციელდა კავშირ-გაბმულობის რეფორმა და დეპარტამენტი აღიჭურვა თანამედროვე, „TETRA“-ს ტიპის რადიოსადგურების სისტემებით;
- ავტომობილები აღიჭურვა GPS თრექერებით, რამაც შექმნა დანაყოფის ბალანსზე რიცხული ტრანსპორტის გადაადგილების ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი;
- დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში მოეწყო საცეცხლე ტაქტიკური სწავლების ახალი სივრცეები (სასროლი სახლები);
- განხორციელდა საოკუპაციო ხაზის კომპლექსური შეფასება, განისაზღვრა როგორც არსებული ტაქტიკური და ლოჯისტიკური მდგომარეობა, ასევე, სამომავლო პრიორიტეტები;
- ეტაპობრივად გაიზარდა თანამშრომელთა ხელფასები.

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი

- 2020 წლის იანვრის ბოლოს დასრულდა სარემონტო სამუშაოები ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ასევე მოეწყო და ამოქმედდა სამედიცინო პუნქტი. სამედიცინო პუნქტები ასევე გაიხსნა სენაკის, ჭიათურის და სიღნაღის იზოლატორებში. დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 30 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი უკვე 23-ში ფუნქციონირებს. პუნქტების რაოდენობის გაზრდა 2021 წელსაც გაგრძელდება;
- 2020 წელს თბილისში გაიხსნა ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორი და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება. ორივე შენობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, თითოეული დაკავებულისთვის უზრუნველყოფილია საცხოვრებელი

სივრცის დადგენილი სტანდარტი, ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები, იზოლატორები აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკით და მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე;

- ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში მოქმედებს დროებითი მოთავსების იზოლატორებისგან განსხვავებული რეჟიმი და მათ შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი აქტივობებითა და სერვისებით. შენობის გარეთ მოეწყო სასეირნო სივრცე, სავარჯიშო მოწყობილობებით; დაწესებულებაში ფუნქციონიორებს ბიბლიოთეკა, ასევე საერთო სივრცე კომპიუტერით სარგებლობისთვის, სატელევიზიო გადაცემების ყურებისა და სამაგიდო თამაშებისთვის;
- 2020 წელს სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 19 იზოლატორში;
- 2020 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, შემუშავდა და შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგის ჩატარების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაიწერა დროებითი მოთავსების იზოლატორებში

მონიტორნიგის ჩატარების პროცესი, კერძოდ, მონიტორინგის სამსახურის მიერ გეგმიური ან არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების პრინციპები, წესები და პროცედურა, ასევე მონიტორინგის ჩამტარებელ პირთა უფლება-მოვალეობები და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

- 2020 წელს მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულმა თანამშრომლებმა გაიარეს გადამზადება მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგიის და ადამიანის უფლებების მიმართულებებით;
- სამედიცინო შემოწმების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის მიზნით, 2020 წლის დასაწყისში დამტკიცდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო მუშაკებისთვის, რათა მათ მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დაკავებული პირისგან სრული ინფორმაციის მიღება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და

არსებული ჩივილების შესახებ, სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად, ასევე დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოვლენა;

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „არასრულწლოვან და ზრდასრულ თავისუფლებააღკვეთილ

პირთა მხარდაჭერა“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები ექიმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადებას დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით;

- ამავე პროექტის ფარგლებში, 2020 წელს, 50 სამედიცინო მუშაკი გადამზადდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდების თემატიკაზე, ხოლო 42-მა ექიმმა გაიარა ტრენინგი თემაზე: „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ინტერვიურების ტექნიკების შესახებ“;
- 2020 წლის 26 მარტიდან, COVID-19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, დაიწყო იზოლატორში მოთავსებული პირების სასამართლო პროცესების დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმოკლეს პერიოდში უზრუნველყო იზოლატორების აღჭურვა საჭირო ტექნიკით, ყველა ლოკაციაზე მოეწყო შებამისი ინფრასტრუქტურა და მოხდა თანამშრომელთა გადამზადება. ჯამში, 2020 წლის 26 მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გაიმართა იზოლატორში მოთავსებული 3846 პირის დისტანციური სასამართლო პროცესი, მათ შორის:
  - 3565 პროცესი - სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით დაკავებული პირების მიმართ;
  - 281 პროცესი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით დაკავებული პირების მიმართ.

ექსპერტი

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

- ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს - INL-ის პროგრამის მხარდაჭერითა და ჩართულობით, წარმატებით განხორციელდა საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის - ISO17025-ის მიხედვით. კერძოდ, აკრედიტაცია მიიღო დეპარტამენტის 6-მა ლაბორატორიამ: თბილისის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის რეგიონულმა ლაბორატორიებმა გორში, ახალციხესა და ბათუმში, ასევე, თბილისის ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის და დოკუმენტების ტექნიკური/ გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორიებმა;
- შეიქმნა ახალი ნივთმტკიცებულებათა ბრუნვის სამმართველო, რომელიც ახორციელებს მტკიცებულებების ტრანსპორტირებას პოლიციის

განყოფილებებიდან საცავში დასაწყობების მიზნით;

- აშშ-ის ენერგეტიკული დეპარტამენტის და ევროკავშირის ერთობლივი კვლევების ცენტრის ხელშეწყობით, უახლოეს პერიოდში დასრულდება ბირთვულ-რადიაციული ექსპერტიზის და უკანონო ბრუნვიდან ამოღებული მასალების, ასევე, მიტოვებული ბირთვულ-რადიაციული წყაროების ერთიანი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა;
- საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ხარისხის კონტროლისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ორგანიზებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის INL-ის პროგრამის მხარდაჭერითა და ჩართულობით დაიწყო მუშაობა შემთხვევის ადგილზე მუშაობის სტანდარტიზებაზე და იგეგმება თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოსთვის საერთაშორისო ISO17020 აკრედიტაციის მიღება ავტორიტეტული ამერიკული აკრედიტაციის ორგანოსგან (A2LA);
- 2020 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა აშშ-ის ელჩს - კელი დეგნანს, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ბიუროს (INL) დირექტორს - რებეკა ჰანტს და აშშ-ის საელჩოს სამართალდაცვით საკითხებში უფროს მრჩეველს - მაიკლ ტერნერს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში უმასპინძლა. სტუმრებმა დაათვალიერეს ახალი შენობა, „დნმ“ ლაბორატორია, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის სხვადასხვა ლაბორატორია და

დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ;

- 2020 წლის სექტემბერში, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო გვარდიის გენერალური დირექტორი - მარია გამეს გამესი, ესპანეთის პოლიციის ატაშე თურქეთში - ანტონიო დობლასი და სამოქალაქო გვარდიის კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის უფროსი - ხოსე ანტონიო მეიადო საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ. სტუმრები გაეცნენ დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას და განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმები;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2020 წლის 26 ნოემბრიდან საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა დაიწყო შსს-ს თანამშრომლების ტესტირება PCR მეთოდით.
- საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია კვალიფიციური გუნდითა და მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული, უახლესი სისტემებითა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გენეტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიით, დღეში 1000 ლაბორატორიული კვლევის ჩატარებაა შესაძლებელი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური ცენტრების ბაზაზე, ქვეყნის მასშტაბით, სულ 7 „კოვიდცენტრი“ შეიქმნა. ცენტრები ფუნქციონირებს თბილისში, თელავში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. ცენტრებში კოვიდანალიზისთვის ნიმუშის აღება (PCR ტესტირება) ხდება.

დაცვის პოლიცია - 125

- 2020 წელს, დაცვის პოლიცია, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დეპარტამენტები, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პარალელურად, ჩართული იყო პანდემიასთან ბრძოლაში. მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფდა საკარანტინე სივრცეების, კოვიდსასტუმროების და ცხელების ცენტრების დაცვასა და მონიტორინგს. პანდემიის დაწყებიდან, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 1313 თანამშრომელი 187 კოვიდობიექტს იცავდა.
- პანდემიის მიუხედავად, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა დაცვის პოლიციის მოქალაქეთა მომსახურების ერთიანი ცენტრი, სადაც მოქალაქეები დაცვის პოლიციის ყველა მომსახურებას ერთიან სივრცეში იღებენ;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 4000 თანამშრომელს, ისევე, როგორც სამინისტროს სხვა თანამშრომლებს, გაეზარდა ანაზღაურება;
- სამსახურმა მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვისათვის, ასევე ინკასაციისთვის და ტექნიკური ჯგუფისთვის ჯამურად შეიძინა 31 ავტომანქანა;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეგიონულ სამმართველოებში დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასერვერო და ახალი ანტენები;
- განხორციელდა დაცვითი-საგანგაშო პროგრამული უზრუნველყოფის SIS ლიცენზიის განახლება;
- საინკასაციო ავტომანქანებში დამონტაჟდა ვიდეოკამერები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მეთვალყურეობა მანქანის წინა, გვერდითა და უკანა პერიმეტრის, ასევე, მანქანის კაფსულის, სადაც განთავსებულია ეკიპაჟი და საინკასაციო ჩანთები;

- მიმდინარეობს ციფრულ კავშირგაბმულობის სისტემაზე (MOTOROLA TETRA) გადასვლა, დანაყოფების ნაწილი აღჭურვილია ციფრული კავშირგაბმულობის საშუალებებით, ხოლო დარჩენილი ნაწილის აღჭურვა განხორციელდება ეტაპობრივად.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი

- სტრატეგიული მილსადენების 162-ე კმ-ზე, ტაბაწყურის ტბასთან დასრულდა ახალი, კაპიტალური ბაზის მშენებლობა. მოხდა აღნიშნული ბაზის ელექტროფიკაცია და სასმელი წყლის სისტემის გაყვანა;
- დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წალკის ბაზაზე მოეწყო წყლის მომარაგების სისტემა;
- ახალციხის მუნიციპალიტეტში, სტრატეგიული მილსადენების 225-ე კმ-ზე მოხდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს საგუშაგოს ელექტროფიკაცია;
- კაპიტალურად გადაიხურა სუფსის ბაზა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ეგიდით, დეპარტამენტის მოსამსახურეებისთვის ჩატარდა სამთო მომზადების ზამთრისა და ზაფხულის, როგორც საბაზისო, ასევე, შუალედური სწავლებები (მაღალ მთაში);
- გაიმართა დეპარტამენტის ტაქტიკური საჩვენებელი სწავლება;
- ჩატარდა დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამმართველოს მოსამსახურეების სპეციალურ-ტაქტიკური მომზადების კურსი.

შსს-ს აკადემია



- სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO 21001) ხარისხის მართვის სერტიფიკატის მისაღებად, შსს-ს აკადემიაში მუშაობა 2019 წლიდან დაიწყო, ევროკავშირის პროექტის - „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (EU Project on Technical Assistance to Support the Fight Against Organised Crime in Georgia) - მხარდაჭერით. 2020 წლის 24 აგვისტოს შსს-ს აკადემიამ ISO 21001 ხარისხის მართვის სერტიფიკატი მიიღო; აღსანიშნავია, რომ აკადემია არის საქართველოში პირველი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, რომელმაც აღნიშნული სერტიფიკატი მოიპოვა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შსს-ს აკადემიის სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს (ამზადებს მეხანძრე-მაშველებს) განვითარების მიზნით, პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა ორი პროექტი:

I პროექტი – „საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის შესყიდვა და ტრანსფერი“. პროექტი განახორციელა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის დახმარების პროგრამამ, ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარ სკოლასთან პარტნიორობით. აღჭურვილობის გადაცემასთან ერთად, შემუშავდა სახელმძღვანელო მეხანძრე-მაშველთა მოსამზადებლად, ონლაინ ფორმატში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და საპილოტე სწავლება.

II პროექტი – „აღჭურვილობის მიწოდება საქართველოს შსს-ს აკადემიისთვის“, რომელიც განახორციელა პოლონეთის რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში. პროექტის ფარგლებში, აკადემიას გადაეცა მხედველობის და სასუნთქი ორგანოების დაცვის ინდივიდუალური საშუალებები და აღჭურვილობა;

- აკადემიაში მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგმოდულების შემუშავება და განახლება, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერით, ასევე, საკუთარი რესურსების გამოყენებით.

2020 წელს შემუშავებული სასწავლო კურსებიდან აღსანიშნავია:

- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია (ევროკავშირის პროექტი - „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“);
- ნარკოდანაშაულის გამოძიება - (ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ -EU-ACT);
- ნარკოტიკების მოხმარების პრევენციისა და ზიანის შემცირების სასწავლო მოდული (ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქტოლოგიის ცენტრი);
- ტრანსსასაზღვრო დანაშაული (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - IOM);
- პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში (ევროპის საბჭო - COE);
- 2020 წელის აკადემიის ინსტრუქტორები ინტენსიურ რეჟიმში გადიოდნენ ინგლისური ენის სასწავლო კურსს;
- აკადემიის ფსიქოლოგთა განყოფილება, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდსა და შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან ერთად, აქტიურადაა ჩართული საპილოტე პროექტში – „ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში“.

მიგრაციის დეპარტამენტი

საქართველოს მიერ ხელმოწერილი რეადმისიის შეთანხმებების აღსრულების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ ეფექტიანად ხორციელდება „შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“. აღნიშნული წარმატება ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან არაერთხელ შეფასდა დადებითად.

- 2020 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა ზემოაღნიშნული შეთანხმების ფარგლებში მიღებული რეადმისიის განაცხადი 2376 პირზე და 99%-ზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება;
- „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებისა და საქართველოს მიერ დანიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და მოლდოვასთან გაფორმებული რეადმისიის შეთანხმებების ფარგლებში, 2020 წელს 2539 პირზე მიღებული რეადმისიის განაცხადებიდან 99%-ზე მიღებულ იქნა დადებით გადაწყვეტილება;
- მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) კოორდინირებით განხორციელებულ 10 ჩარტერულ რეისში;
- 2020 წელს ქვეყნიდან გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან აღსრულებულ იქნა 49 გაძევების გადაწყვეტილება;
- 2020 წელს, ქვეყნიდან გაძევების მიზნით, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ იქნა 37 პირი;
- დროებითი განთავსების ცენტრში დაინერგა ვირუსული ჰეპატიტების აივ-ინფექციის/შიდსისა და ტუბერკულოზის სამედიცინო შემოწმება;
- 864 თავშესაფრის მაძიებლის მომართვის საფუძველზე დაიწყო თავშესაფრის პროცედურა;
- 2020 წელს განხილულ იქნა 694 პირის განცხადება საერთაშორისო დაცვაზე;
- თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსების უფლებით ისარგებლა 134-მა თავშესაფრის მაძიებელმა.

საერთაშორისო საპოლიციო საქმიანობა

- განვითარდა სამართალდაცვით სფეროში ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით. ამჟამად, 33 პარტნიორ ქვეყანასთან, მათ შორის ევროკავშირის წევრ 17 ქვეყანასთან, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება/მემორანდუმი;
- 2020 წელს ევროპის 7 ქვეყანასთან მოხდა თანამშრომლობის გეგმის ინიცირება, რაც ხელს შეუწყობს პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერებას ერთობლივი ინტერესის სფეროებში შემავალ საკითხებზე;
- საქართველოს ჰყავს 16 პოლიციის ატაშე, რომლებიც ფარავენ 24 ქვეყანას. მეკავშირე ოფიცრები მივლენილი არიან ევროპოლსა და ნატოში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის ოფიცრები მონაწილეობენ გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO)) მიერ მხარდაჭერილ კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში შექმნილ ჯგუფში, რომლის მიზანია ტრანზიტულად მოძრავი ტვირთების კონტროლი არალეგალური ნივთიერებების აღმოჩენის მიზნით;
- წარმატებით გრძელდება ევროპოლთან ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ 2017 წელს გაფორმებული შეთანხმების განხორციელება. ამოქმედებულია ევროპოლთან უსაფრთხო კომუნიკაციის არხი - „სიენა“, რომლის მეშვეობით ხდება ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ევროპოლის შტაბ-ბინაში მივლენილია სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი და სამინისტრო გაწევრიანებულია ევროპოლის შესაბამის ანალიტიკურ პროექტებში;
- 2019-2020 წლებში, დანაშაულისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სამინისტროდან საფრანგეთში სამუშაოდ მივლენილ იქნა პოლიციის 6 ოფიცერი.

საერთაშორისო ურთიერთობები
ნატოსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობა

NATO

- საქართველო, როგორც ნატოს საიმედო პარტნიორი, აქტიურად არის ჩართული შავი ზღვის რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. 2020 წლის 13 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიცვალა ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე, ნატოს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლის ნებართვების წესი, რამაც გაამარტივა აღნიშნული პროცედურა;
- 2020 წლის 27 ივლისს ხელი მოეწერა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტსა და ნატოს გაერთიანებულ საზღვაო სარდლობას (MARCOM) შორის განახლებულ ტაქტიკურ მემორანდუმს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას;

- 2020 წლის 7-9 აპრილს, ქ. ფოთის პორტში განხორციელდა ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) ვიზიტი.

EU

- ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხელშესახებ მიღწევას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში. უვიზო მიმოსვლის პირობებში, მილიონზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში. უვიზო მიმოსვლის წარმატებით განხორციელების მიზნით, თანამშრომლობა გაღრმავდა ევროპული საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX). 2020 წელს, FRONTEX-ის ერთობლივი ოპერაციების ფარგლებში, ერთთვიანი როტაციის პრინციპით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში 10 ქართველი პოლიციის ოფიცერი იყო მივლენილი;
- 2020 წლის 10 ივლისის ევროკომისიის ანგარიშით, დადებითად შეფასდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიზა ლიბერალიზაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების, პოლიციის ატაშეების წარმატებული საქმიანობისა და ევროკავშირის სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით;
- 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუციით, დადებითად შეფასდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებებით.

თანამშრომლობა დონორებთან

- სამინისტროში მიმდინარე რეფორმების პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხარდაჭერას, რომლებიც წლების მანძილზე ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებას. ასევე, ხაზგასასმელია

აშშ-ის მიერ გაწეული დახმარება, საქართველოს საზღვაო და სახმელეთო საზღვრების დაცვის, ორგანიზებული დანაშაულის, ქიმიურ, ბიოლოგიურ, ბირთვულ და რადიაციულ საფრთხეებთან ბრძოლის სფეროში, აგრეთვე, საექსპერტო-კრიმინალისტიკური და საგამოძიებო ექსპერტიზის მიმართულებით;

- აღსანიშნავია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წვლილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური განვითარებისა და რეფორმირების პროცესში, იმ მიმართულებებით, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის რეფორმა, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის და კიბერდანაშაულის სფეროში შესაძლებლობების განვითარება და სხვ;
- COVID-19 პანდემიასთან ბრძოლის პროცესში შს სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, დონორული დახმარების სახით მოზიდულ იქნა 1 400 000-მდე ლარის ღირებულების მსხვილი ტექნიკური აღჭურვილობა და პერსონალური დაცვის საშუალებები.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები და ტექნიკური აღჭურვა

2020 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სულ, ქვეყნის მასშტაბით, 16 ახალი შენობა ააშენა

რუსთავის პოლიცია

ანაკლიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

ჩხოროწყუს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

წალენჯიხის პოლიცია

ბაკურიანის პოლიცია

სასაზღვრო სექტორი - „ჯუთა“

სასაზღვრო სექტორი - „ლეკისყურე“

სასაზღვრო სექტორი - „ჩირუხი“

სასაზღვრო სექტორი - „თრუსო“

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს თანამშრომელთა სოციალური გარანტიების გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბინათმშენებლობის პროექტს, რომელიც გულისხმობს სამინისტროს მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლებით შეღავათიან პირობებში უზრუნველყოფას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

2020 წლის მდგომარეობით, თბილისსა და რუსთავში, ახალაშენებული, ხოლო ბათუმში მშენებარე ბინები პირობით საკუთრებაში გადაეცა 211 თანამშრომელს

წლის მთავარი გამოწვევა - შინაგან საქმეთა სამინისტრო COVID-19-თან ბრძოლაში

2020 წელი განსაკუთრებული გამოწვევების წელი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დანაყოფისთვის.

საქართველოში Covid-19-ის ვირუსის დაფიქსირების პირველივე დღიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლები კოორდინირებულად თანამშრომლობენ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, 2020 წლის მარტიდან, უწყებათშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები 24-საათიან რეჟიმში მორიგეობდნენ სპეციალურად მოწყობილ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში.

საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების აღსრულების პროცესში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 000-ზე მეტი მოსამსახურე იყო ჩართული.

სამინისტრო მოქმედებდა მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად. კომპეტენციის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალებოდა:

- მიმოსვლის შეზღუდვა – ბლოკ-პოსტების მოწყობა (კონტროლდებოდა ფიზიკურ პირთა და ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა, მათ შორის ჩაკეტილ ქალაქებში შესვლა/გასვლა და საქალაქთაშორისო გადაადგილება);
- სასაზღვრო გამტარ პუნტქებზე მოქალაქეთა შემოსვლის კონტროლი;
- საჯარო სივრცეებში თავშეყრის შეზღუდვა (კონტროლდებოდა დაშვებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობა ერთიან სივრცეში, ასევე, დაწესებული სოციალური დისტანციის დაცვა);
- ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა (კონტროლდებოდა აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის მოთხოვნის აღსრულება, ასევე, დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, სავალდებულო რეკომენდაციების დაცვის ვალდებულების აღსრულება);

7607
7607
OU-562-UU

POLICE
POLICE

- კულტურული, სპორტული და სხვა სახის აკრძალული ღონისძიებების შეზღუდვა;
- თვითიზოლაციაში მყოფ პირთა პერიოდული მონიტორინგი;
- კონკრეტული, მაღალი რისკის შემცველი ადგილების იზოლირება;
- საკარანტინო ზონების კონტროლი და დაცვა;
- საველე ჰოსპიტლის გახსნა (როდესაც მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა, შსს-ს თანამშრომლებმა, თავდაცვის სამინისტროს ჯარისკაცებთან ერთად, ერთ ღამეში ააგეს 100-კაციანი საველე ჰოსპიტალი);
- Covid-19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირების სასამართლო პროცესების დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. უმცირეს დროში მოხერხდა იზოლატორების აღჭურვა საჭირო ტექნიკით. ყველა ლოკაციაზე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მოხდა თანამშრომელთა გადამზადება. სასამართლო პროცესები იმართება დაკავებულის მიერ იზოლატორის დატოვების გარეშე. ჯამში, 2020 წელს, იზოლატორში მოთავსებული 3 846 პირის დისტანციური სასამართლო პროცესი გაიმართა.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური ცენტრების ბაზაზე, ქვეყნის მასშტაბით, სულ 7 „კოვიდცენტრი“ შეიქმნა, სადაც უფასოდ ხდება სამინისტროს თანამშრომელთა PCR ტესტირება.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟამადაც აქტიურად ახორციელებს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების აღსრულების კონტროლსა და დარღვევებზე რეაგირებას.
- სამინისტრო დღემდე კოორდინირებულად მუშაობს მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურასთან.

მოსახლეობის პოლიციისადმი დამოკიდებულება და პოლიციის მუდმივი მზადყოფნა ადამიანების დასახმარებლად განსაკუთრებით გამოვლინდა საგანგებო მდგომარეობის დროს. ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოქალაქეები, სხვადასხვა საჭიროების მიხედვით, დასახმარებლად 112-ში რეკავდნენ და პოლიციაც მაქსიმალურად ცდილობდა, კანონის დაცვისა და უსაფრთხოების კონტროლის პარალელურად, ადამიანებს დახმარებოდა.

პოლიცია

უსაფრთხო საარჩევნო გარემო

- 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, შსს-ს აკადემიასა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამინისტროს დანაყოფებში მომუშავე 4000-ზე მეტმა პოლიციელმა ტრენინგი გაიარა;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა - კახაბერ საბანაძემ, ვლადიმერ ბორცვაძემ და ნინო ცაციაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებთან წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს;
- უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა პოლიციის მობილური ჯგუფები, რომლებიც, საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველის აპარატთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „არჩევნების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“, რომლითაც განისაზღვრა წინასაარჩევნო პერიოდში,

არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე:

– სამინისტროს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები;

– სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, კანონით დადგენილი აკრძალვები და შეზღუდვები;

- შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორის კომისიასთან, საიდანაც არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე შემოსულ ათეულობით ინციდენტზე სამინისტროს რეაგირება იყო მყისიერი;
- მაღალმთიან რეგიონებში არჩევნების ჩასატარებლად ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა საარჩევნო ყუთების გადატანა სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენების დახმარებით მოახერხეს. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, ლაგოდეხისა და ბარისახოს მესაზღვრეების გარდა, თუშეთის სოფლებში მუდმივად მცხოვრებმა პირებმაც მიიღეს.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით აწარმოებს საზოგადოების ინფორმირებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე, აგრეთვე, სოციალური ქსელების (Face-book, Twitter) საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია როგორც შს სამინისტროს ყოველდღიური აქტივობების შესახებ, ასევე, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, რეფორმების, სტრუქტურული თუ საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

გარდა ამისა, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მუდმივად ახორციელებს შესაბამის საკომუნიკაციო კამპანიებს.

Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 2020 წელს დაგეგმილი ღონისძიებები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მითითებული რეკომენდაციებით ტარდებოდა.

დოკუმენტური სერიალი „პოლიციის ფაილები“

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და Discovery-ის ოფიციალური ლიცენზიით, კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალის - **„პოლიციის ფაილების“** გადაღება გაგრძელდა. სერიალის მთავარი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პოლიციის მიმართ მოქალაქეთა ნდობის გაზრდა, რეალური შემთხვევების ჩვენებით და შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით. სერიალის ძირითადი სცენარი აგებულია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დღესდღეობით გამოწვევად რჩება საზოგადოებაში, ესენია: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლა და ა.შ. სერიალი, ასევე, მიზნად ისახავს საზოგადოებას გააცნოს პოლიციის საქმიანობის სპეციფიკა, საგამოძიებო პროცედურები და დაანახოს მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

განხორციელებული აქტივობები:

- შს სამინისტრომ შეიძინა „Investigation Discovery“-ის ოფიციალური ლიცენზია 20 სერიისთვის;
- გადაღებულია და 2021 წელს ეთერში გავა „პოლიციის ფაილების“ 7 სერია.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია

შს სამინისტრო ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს ინტეგრირებულ საინფორმაციო კამპანიას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. საინფორმაციო კამპანიის მიზნებია:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებზე;
- რისკჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართვის პრევენცია;
- ახალგაზრდების მოტივირება, მოიპოვონ მეტი ინფორმაცია ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საფრთხეებზე;
- პოლიციასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის მოტივირება პოლიციასთან თანამშრომლობის ხარისხის გაზრდის მიმართულებით.

საინფორმაციო კამპანია ხორციელდება ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- კიბერდანაშაული;
- ნარკოდანაშაული;
- ტრეფიკინგი;
- „ქურდული სამყარო“ და კრიმინალური მენტალიტეტი.

კამპანიის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ როგორც, ზოგადად, მოსახლეობა, ასევე, მოზარდები, სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფი და ა.შ.

2020 წლის ოქტომბერი დაეთმო კიბერდანაშაულთან ბრძოლას. დამზადდა გრაფიკული ვიდეოები (ფიშინგი, კიბერჰიგიენა, ბიზნეს ელ.ფოსტების კომპრომეტირება), საინფორმაციო პოსტერები და ბანერები, რომლებიც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალურ საკომუნიკაციო პლატფორმებზე გამოქვეყნდა.

ამასთან, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო და რადიოგადაცემაში, სადაც ისაუბრეს კიბერდანაშაულის გავრცელებულ ფორმებსა და მისგან დაცვის გზებზე.

შიდა კომუნიკაციის მექანიზმის განვითარება

ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით (NATO PDP), ბრიტანელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით, შს სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა შეიმუშავა შიდა კომუნიკაციების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ასევე, პროექტის ფარგლებში, შს სამინისტროს თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა შიდა კომუნიკაციების სახელმძღვანელო უწყების საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის.

დეზინფორმაციასთან და ყალბ ამბებთან ბრძოლა

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ყალბ და გადაუმოწმებელ ინფორმაციასთან ბრძოლა, ყალბი ამბების გავრცელების პრევენცია და დეზინფორმაციის ფაქტებზე დროული რეაგირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის ივნისში, დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და შს სამინისტროში მიმდინარე პროცესების შესახებ მოსახლეობის

ინფორმირების მიზნით, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის Facebook-გვერდი შეიქმნა. სტრატეგიული კომუნიკაციების Facebook-გვერდზე ქვეყნდებოდა

დეზინფორმაციასთან ბრძოლის თემატიკაზე (მათ შორის, დეზინფორმაცია Covid-19-ის პანდემიის დროს) შექმნილი საინფორმაციო პოსტები, ბანერები და გრაფიკული ვიდეოები.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ევროკავშირის პროექტის - „სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ - მხარდაჭერით, კრიზისულ სიტუაციებში ეფექტიანი კომუნიკაციისა და მედიასთან ურთიერთობის ტრენინგი ჩატარდა. სწავლების მიზანი იყო მონაწილეების კომუნიკაციისა და კრიზისულ სიტუაციებში მედიასთან ეფექტიანი ურთიერთობებისთვის საჭირო უნარების გამომუშავება და განვითარება, ინტენსიური პრაქტიკული დავალებებისა და სიმულაციური სცენარების გამოყენებით;
- ტრენინგების ციკლის ფარგლებში გადამზადდნენ მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პოლიციელები.

შინაგან საქმეთა
სამინისტრო

სამომავლო გეგმები

- რეფორმების გაგრძელება და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა
- ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება
- ანალიზზე დაფუძნებული და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ხელშეწყობა
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება
- ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო და
შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ანგარიში მოამზადა შინაგან საქმეთა სამინისტროს
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE